საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 51 (6545) 17 დეკემბერი ხუთშაბათი 1992 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამარჯვების ჟამს

მძიმე დღე დაუდგა ჩვენს ქვეყანას, ეკლიანი გამოდგა დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი გზა, ძვირი დაგვიჯდა თავისუფლება. სისხლი იღვრება აფხაზეთში, საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე.

ახლა ყველას უჭირს, მაგრამ უკანასკნელი ლუკმა უნდა გავიღოთ და თავდაცვის ფონდის შექმნა-შევსებისათვის ზრუნვა საყოველთაო საზრუნავად უნდა გავიხადოთ. სხვა გზა არა გვაქვს, მშიერი მეომარი ომს ვერ მოიგებს, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის უნდა გამოვიყენოთ.

მართალია, ცეცხლის ხაზი ჩვენთან არ გადის, მაგრამ ეს როდი ნიშნავს უზრუნველად, ინერტულად ვუყუროთ მოვლენებს—რა ხდება აფხაზეთში?— ყოველი ჩვენი დღე ხომ ამ კითხვით იწყება. ჩვენი მიწის მთლიანობისათვის ბრძოლაში არანაკლები საქმის გაკეთება შეგვიძლია ზურგში, ასე იყო და ასე უნდა მოხდეს ახლაც. აფხაზეთში მებრძოლ მეომრებს უნდა დავეხმაროთ სურსათ-სანოვაგით, თბილი ტანსაცმლით, ფულადი სახსრებით, რითაც შეგვიძლია იმით. ისე ღმერთმა ნუ დასცეს და დააკნინოს ლეჩხუმელ მშრომელთა ოჯახები, რომ სამშობლოს დამცველთათვის სარჩო-საბადებელი არ გადაირჩინოს.

ბევრი რამ უნდა დავითმინოთ, ბევრი გადავიტანოთ, როგორმე დავძლიოთ ეს სიდუხჭირე, სიმართლე ჩვენკენაა და როგორმე უნდა ვაჯობოთ აგრესორს.

მაშ, მთელი არსებით მხარი დავუჭიროთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიმართვას საქართველოს მოსახლეობის, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ყველა თანამემამულის, რესპუბლიკის საწარმოებისა და დაწესებულებების, კომერციული სტრუქტურებისა და ბიზნესმენებისადმი, სადაც ნათქვამია—დღეს საქართველოს უჭირს და უჭირს არა მარტო ბრძოლის ველზე. ეს გაჭირვება კი თითოეული ჩვენგანის გაჭირვებაა. მოვუხმოთ ჩვენი წინაპრების სულს, მათ მწარე გამოცდილებას და იმ საშუალებებით, რაც გვაქვს, იმ ძალით, რაც გაგვაჩნია, დავდგეთ ჩვენი ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე.

ეჭვი არ არის, რომ რაიონის მშრომელები, ისინი, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს მომავალი, უშურველად უწილადებენ თავიანთ დანაზოგს სამშობლოს ერთგულ შვილებს, მათ, ვინც უნდა უზრუნველყონ ვერაგ მტერზე სრული და საბოლოო გამარჯვება.

## სახარებისეული ქვრივის მადლი...

მეუღლე გარდაცვლილა და მარტოობა არგუნა ბედმა სიბერეში ჩხუტელელ ცაცა მურღვალაძე-მელაძეს. 80 წლის ქალი ღვთის წყალობით ჯანმრთელად გრძნობს თავს, ოჯახურ მეურნეობაში ფუსფუსებს და დღემუდამ საქართველოს გადარჩენასა და ქვეყნის დამშვიდება-დაწყნარებაზე ლოცულობს.

განა მარტო ლოცულობს? უნდა თავისი დანაზოგიდან არგოს კიდეც რაიმე ქვეყნის თავდაცვის ფონდს, რომ იმ ბიჭებს, დღე და ღამე ცეცხლის ხაზზე რომ დგანან, იქნებ რაიმე მიაწვდინოს.

ამას წინათ მოხუცმა მისი პენსიიდან გულის კარნახით 200 მანეთი გამოგზავნა აგრომრეწვბანკში თავდაცვის ფონდში ჩასარიცხად. ახლა ეს იყოს და მომავალში კიდევ 200 მანეთს ჩავრიცხავო. მადლობა ამ კეთილ მოხუც ქალს კეთილშობილებისათვის, ქალს, რომელიც აქეთ კი არ გაბეზრებს თავს, არიქა, მე მომხედეთ' მარტოხელა ვარ და ზრუნვა და ყურადღება მინდაო, არამედ ამ გასაჭირის ჟამს თვითონ გრძნობს თავს ვალდებულად, შეიტანოს წვლილი ქვეყნის გადასარჩენად.

ღმერთო, ნუ დალევ ასეთ ადამიანებს ჩვენს მადლიან კუთხეში და სრულიად საქართველოში.

## საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სხდომიდან

საქართველოს პარლამენტის 3 დეკემბრის სხდომაზე სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ სხვა საკითხებთან ერთად ილაპარაკა აფხაზეთის პრობლემებზე და ხაზი გაუსვა იმას, რომ დღეს აუცილებელია დავეხმაროთ თავდაცვის ფონდს, ვისაც რით შეუძლია—თბილი ტანსაცმელი იქნება, ეს, ფულადი სახსრები თუ სხვა რამ, მათ ვინც საბრძოლველად მიდის, ყველა პირობა უნდა შევუქმნათ იმისათვის, რომ ღირსეულად იბრძოლონ, ამასთან საჭიროა საყოველთაო წესრიგის დამყარება მთლიანად რესპუბლიკაში, სახელმწიფო ტრასებზე, თბილისში, მიმოიხილა ის ღონისძიებები, რომლებიც კონკრეტულად ხორციელდება საამისოდ.

პარლამენტის სხდომამ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ზოგიერთი წევრის დამტკიცების საკითხი. პარლამენტმა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად დაამტკიცა **კონსტანტინე კემულარია**, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სამსახურის ხელმძღვანელად—**არჩილ გოგელია**.

8 დეკემბრის სხდომაც ინფორმაციით: რა ხდება აფხაზეთში? დაიწყო. სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტარებს გააცნო აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები. შემდეგ სხდომამ მოისმინა პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარის შალვა ნათელაშვილის მოხსენება „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატებათა შეტანის თაობაზე, რამაც ცხარე კამათი გამოიწვია, რის შედეგადაც გადაწყდა, შემდგომი განხილვისათვის გადაედოთ იგი, რომელიც ძირითადად ეხებოდა სახელმწიფო მინისტრის უფლებამოსილებათა საკითხს. იგივე ბედი ეწია იურიდიულ კომისიის თავმჯდომარის შალვა ნათელაშვილის მიერ წარმოდგენილ პროექტს „საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხედრო სასამართლოების შესახებ“.

## შემწედ ვექმნეთ ხიზნებს

რა ვქნათ, ყველა ჩვენი საგაზეთო მასალა ტკივილით იწყება, ტკივილითა და წუხილით. ქვეყანაში ომია, იღუპებიან ნებიერად გაზრდილი ჩვენი შვილები და შვილიშვილები, უმანკო სისხლი დასდის დედამიწას, ყოველდღე იზრდება ლტოლვილთა რიცხვი აფხაზეთიდან. ლეჩხუმმაც გადააფარა მადლიანი კალთა თავის სისხლსა და ხორცს. ეს ის ხალხია, 50—იან წლებში რომ ჩასახლდა აფხაზეთში და ახლა იძულებით გადასახლებულის სტატუსით დაგვიბრუნდა. როგორ არ დათმობ საკუთარ ლუკმას, როცა ამ აწიოკებულ, გასაცოდავებულ თანამემამულეებს უყურებ.

კარგა ხანია ჩვენს ქალაქში ფუნქციონირებს ლტოლვილთა დახმარების რაიონული შტაბი (თავმჯდომარე გ. ბრეგვაძე). ლტოლვილთა დახმარების რაიონული კომისია ცდილობს გვერდით დაუდგეს ამ ადამიანებს. შეგროვდა გარკვეული ოდენობის პროდუქტი, ხილი, თანხა და გადაეცა ლტოლვილებს.

მაგრამ გაწეული დახმარება, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთია. ამიტომაა, რომ რაიონის მოსახლეობა, საწარმო-ორგანიზაციები ლტოლვილთა ანგარიშზე კვლავაც რიცხავენ თანხებს. **ცაგერის რაიონული გამგეობის თანამშრომლებმა 6880 მანეთი ჩარიცხეს ლტოლვილთა დახმარების ანგარიშზე, სახელმწიფო სატყეო მეურნეობისამ—6000 მანეთი, კულტურის განყოფილების მუშაკებმა—5083, კოლმშენისა და ცაგერის ღვინის ქარხნის თანამშრომლებმა შესაბამისად 5000 და 4480 მანეთი.**

ყველამ გავუწოდოთ დახმარების ხელი გასაჭირში ჩავარდნილ თანამემამულეებს, გავიღოთ თუნდაც ერთი დღის ხელფასი, მოვიკლოთ ცოტა, ისევ და ისევ მოვიკლოთ.

რაიონული შტაბი კვლავ ელის ლეჩხუმელთა თანადგომას ლტოლვილთა სასარგებლოდ.

## ლაჯანურჰესი ქველმოქმედის როლში

ლაჯანურჰესი მძლავრი და შეიძლება ითქვას გიგანტური საწარმოა რაიონში, რომელსაც დღეისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და მის მესვეურებს იმედით შეჰყურებს თითოეული ჩვენგანი. ლაჯანურჰესელებიც ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებენ. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ძნელი სამუშაო აქვთ, სპონსორობა, ქველმოქმედება, სიკეთის უშურველად გაცემა ხელობად გაიხადეს. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა შრომითი კოლექტივის ახალგაზრდა წინამძღოლი დათო ჩაჩხიანი.

ამჯერად მხოლოდ რამდენიმე მომენტზე შევაჩერებთ ჩვენი გაზეთის მკითხველის ყურადღებას. ამას წინათ აგრომრეწვბანკში გახსნილი თავდაცვის ფონდის ანგარიშზე ლაჯანურჰესელებმა 7673 მანეთი გადარიცხეს.

გარდა ამისა რაიონის ცენტრალური აფთიაქის თანამშრომლებს გაუწიეს სპონსორობა და მათი ხელფასების გაზრდის მიზნით 25 ათასი მანეთი გადაურიცხეს.

მადლობა მათ ამ დიდი სიკეთისა და ქველმოქმედებისათვის.

**დღეს ბარბალობა—წმინდა დიდმოწამე ბარბარეს ხსენების დღე.**

**წმინდანის მადლი შეეწიოს ლეჩხუმსა და სრულიად საქართველოს.**

**მშვიდობა, ბარაქა და სიყვარული ყოფილიყოს მომავალი წლის მეკვლე!**

## თვალსაზრისი

„...ქართველებს შორის უცხოელი უშიშრად გრძნობს თავს და მათი გულუხვობით სარგებლობს. ისინი მეგობრულად არიან განწყობილი მათ მიმართ, ვინც მათთან შემთხვევით მოხვდება და ვისაც რაიმე, თუნდაც მცირე გულისხმიერება ან ცოდნა აქვს წყენიერებისა“... ეს მინაწერი ჯერ კიდევ მე-10 საუკუნის არაბ გეოგრაფსა და მოგზაურს იბნ ჰაუქალის ეკუთვნის, რომელსაც იპყრობდა და აკვირვებდა კიდეც ქართველთა გულუხვობა და სტუმართმოყვარეობა.

მე-14 საუკუნეში დამკვიდრდნენ ძირითადად ოსთა ოჯახები საქართველოს ტერიტორიაზე. მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, რა თქმა უნდა, ხშირად უხდებოდა ქართველობას მომხვდურ მტერთა წინააღმდეგ ბრძოლები. მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთად იბრძოდნენ ოსიც, აფხაზიც, ქართველიც, ლხინიც და ჭირიც ერთი გვქონდა, ოსი ეროვნებისა და ქართველების, აფხაზისა და იგივე ქართველის შეუღლებით იქმნებოდა ფუძემძლიერი ოჯახები...

მაშ, დღეს რა მოხდა? რამ შეცვალა გრძნობა და გონება ადამიანთა, რამ დაგვავიწყა წარსულის ისტორია, რამ დაგვავიწყა, თუ ვისი გორისანი ვართ და ის, რომ „...სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმას გედაქებიან და არ დაანებო... მათაც ცოტა გასაკვირი უნახავთ თავიანთი მიწა-წყლის დაცვის დროს, მათის სისხლის ნაკადულს მიწა ქვესკნელამდის გაუჟღენთავს“.

## სტუმარი ღვთისაა, მაგრამ...

და ისევ უცხოელის სიტყვები:

„ამ პატარა ქვეყანაში ხალხი არაჩვეულებრივი თვისებებით გამოირჩევა მსოფლიო ხალხებისაგან: ვაჟკაცურის ხასიათით, უბადლო მეგობრობით, ძლიერი სიყვარულითა და სტუმართმოყვარეობით“.

დიახ! სტუმართმოყვარეობით, რადგან სწორედ ამ თვისებას უნდა ვუმადლოდეთ ათასგვარ სიკეთეს თუ უფრო მეტ უბედურებას, რაც ქართველმა ხალხმა იგემა.

ქართველი კაცის პირველი სიტყვა მუდამ ეს იყო სტუმრისადმი: „მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა“—ო. არც არასოდეს მისცემს დავიწყებას შთამომავლობით გადმოცემულ ტრადიციებს ქართველი. თუმცა არა ისეთი სტუმრისადმი, რომელიც მერე, შენსავე სახლიდან გაგდებას მოგინდომებს და გეტყვის— მიბრძანდი, საითაც გენებოსო!

არა! ჩვენ, არსადაც არ გვინდა ჩვენი ქვეყნის გარდა, თქვენთვის კი გზა ყველგან ხსნილია! კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ისტორიის ფურცლებს და ათასჯერ წაკითხული კიდევ ერთხელ ჩავიკითხოთ. იქვე კი ზუსტად უწინასწარმეტყველებია ჩვენს წინაპარს:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება“.

მართლაც და! ნურვინ შეგვეცილება, თორემ კიდევ იბადებიან ცხრა ძმა ხერხეულიძენი, არაგველები, ჩოლოყაშვილები, და ვინ იცის კიდევ რამდენი, რომლებთან ერთად ჩვენც სისხლის ბოლო წვეთამდე დავიცავთ მამულს, იმ ქვეყანას, სადაც დავიბადენით, ვიზრდებით და უნდა დავიმარხოთ!

**რიტა სალინაძე,**
ცაგერის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე.

## პოზიცია

# უგუნურთა გამო[illegible]

## ანუ რად ვუჭრით შთამომავლობას სიცოცხლის ძარღვს?

შევეჩვიეთ იმას, რომ ყველაფერი ზიანდება, ნადგურდება, ინგრევა, იძარცვება, შევეჩვიეთ და ზანდახან მაინც არ გვითმენს გული, მთლად ასე ბარბაროსულად როგორ დავერიეთ აშენებულს, დარგულს, გაკეთებულს, მამა-პაპის ნაოფლარს.

ქუთაისიდან ცაგერში მომავალ ავტობუსში ვზივართ. ლაძგვერიის (თუ არ ვცდები) ტერიტორიაზე ასეთ სურათს წავაწყდით: პირდაპირ საავტომობილო გზაზე დგას მანქანა და იქვე გზის პირზე წლობით ხაზარდ ხეებს, რომლებიც არამარტო ალამაზებენ გარემოს, იცავენ გზას მეწყრისაგან, ფერდობებს ჩამორეცხვისაგან, შეესევიან ჩვენი ვაილეჩხუმელები და უმოწყალოდ ჭრიან, დიახ, გზისპირას ჭრიან ფეხის გაუსვრელად, ტყეში შესვლითაც არ იწუხებენ თავს.

იქიდან დაახლოებით ნახევარი კილომეტრი გამოვიარეთ და მეორე მანქანაც ვიხილეთ ფერდობქვეშ შემდგარი, „ტრამპლინზე“ კი გუგუნებს „დრუჟბა“ და მანქანის ძარიც ივსება რცხილით, წაბლით, აკაკით. მანქანიდან, ბუნებრივია, რა[illegible] გაარჩევდი[illegible] გვარგებს მათი დასახელება, როცა ასეთები ერთეულები კი არა, ყველა მეორე-მესამეა. აი, ესაა უბედურება.

რა ქნია ამას? ამ პატარა წერილში გამოხატულ ჩვენს გულისწყრომას იმის პრეტენზია არ აქვს, სატყეო მეურნეობებს დავაბრალოთ ყველაფერი, თუმც ისინი ვერ აიცილებენ პასუხისმგებლობას. ბოლოსდაბოლოს, დღეს რომ არანაირ კანონსა და წესრიგს არ ვემორჩილებით, იმას მაინც რატომ არ ვფიქრობთ, რომ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს ვუსპობთ სასიცოცხლო ძარღვს. მერე ისედაც მეწყერმოძალებული გზა ჩამოინგრევა და მოვწყდებით სამყაროს. სირცხვილსა და ზნეობაზე ლაპარაკი რომ სასაცილოა ბევრისათვის, გვესმის, მაგრამ საკუთარ თავსა და შთამომავლობაზე რატომ არ ვფიქრობთ? თუ ასე გავაგრძელეთ, სამ წელიწადში ლეჩხუმში ტყე აღარ იქნება.

დავფიქრდეთ ამაზე, სანამ არაა მთლად გვიან.

**მ. გურული.**

# ბ ე ბ ი ა

აფხაზეთიდან ცუდი ამბები მოდის, იმ ღამეს არ ეძინა 78 წლის გადაცილებულ ნადო ბებოს, ოთხი ვაჟიშვილის დედას, 6 შვილიშვილის და ერთი შვილთაშვილის დიდ ბებიას. ფიქრებით აფორიაქებულს არ ასვენებდა აფხაზეთში სოხუმის მახლობელ სოფელ თავისუფლებაში დასახლებული შვილის დარდი.—არა, ნეტავი არ მოვსწრებოდი ამ დროს, რა არ ვნახე—სიდუხჭირე, გაჭირვება, ომი, მაგრამ ასეთ შიშს მტრობას, შუღლს და გაუტანლობას არასდროს მოვსწრებივარო, ამბობდა და თანასოფლელთა ხან ერთ და ხან მეორე ჭიშკარზე ჩავლისას ხმამაღლა შესჩიოდა თითო-მეორეს: მოჰკლავენ იმათ იქანა და რა ვქნა, რა შემილიაო. გული უკვნესოდა და რაღაც უბედურებას გრძნობდა, არადა იცოდა, ორი თვეა საშიშროებას გადმორიდებული მისი ცოლ-შვილი, აფხაზეთში მცხოვრები შვილიშვილი ავტომატით ხელში მტერთან საბრძოლველად იყო წასული, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა, რომ აგერ შვილთაშვილი, ოთხი წლის გიორგი თავის დედასთან ერთად სახლში ჰყავდა.

—ნადო ბებოს შვილიშვილი, თამაზი მოუკლავთო, ხმა დაირხა სოფელში. სულში სწვდა ჩაღვრილ მოხუცს მგლის მუხლი გამოება ამ დროს და თეთრი, ქათქათა ტაროებით სავსე გოდორი გასახმობად სხვენზე შეჰქონდა, გული უკვნესოდა და საბრალოდ მოსავალიაო წელს, ხმამაღლა ამბობდა. იმ საღამოს ოჯახის ახლობლების სტუმრობა და მათი პირქუში სახეები ცუდად ენიშნა, პირდაპირ ვერ უთხრეს მოხუცს, თამაზი დაჭრილია და ამის გასაგებად არიანო ბიჭები წასული. საღამოთი რძლები ესტუმრნენ წყალტუბოდან, დამალვა აღარ შეიძლებოდა, ბებია გააზრებულად და შეგნებულად შეხვდა ამ დიდ უბედურებას. 25 წლის სიცოცხლით სავსე თამაზის ტრაგიკული სიკვდილით გამოწვეული მწუხარება მთელმა სოფელმა გაიზიარა, მწარედ აქვითინებული ნადო ბებო თამაზს ტიროდა და თან სიმინდს ფშვნიდა, იქნებ დარჩენილ ჯალაბს არ მომიშივდესო, ფიქრობდა.

მადლობა ღმერთს, თამაზის დაკრძალვაზე წასული ახლობლები უკან მშვიდობით დაბრუნდნენ. ვერც ნადო ბებომ შეძლო წასვლა, პატარა გიორგიც ვერ დაესწრო მამის დაკრძალვას. უდარდელად მოთამაშე ბიჭუნას ჯერაც ვერ გაუაზრებია სიკვდილისა და უმამობის მძიმე ხვედრი და მამა სახლში ისევ ცოცხალი და საღსალამათი ეგულვება.

**ჯ. მანდარია.**

# ჩ ვ ე ნ შ ი

## გაჭირდა ცხოვრება:

ომით და კინკლაობით, უქონლობით, სიძვირით' უფულობით, უმუშევრობით უბენზინობითა და უგზოობით, ძარცვითა და გლეჯით, ქურდობითა და ყაჩაღობით.

## გაუჭირდა ყველას;

ერსა და ბერს, უფროსსა და ხელქვეითს, დიდსა და პატარას, ჭკვიანსა და სულელს, გულადსა და ბაქიას' პირდაპირსა და ლაქიას.

## გაჭირვებაა ყველგან:

ჭირსა და ლხინში, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, თეატრსა და კინოში, სამუშაოსა და სასწავლებელში, მილიციასა და სასამართლოში, მატარებელსა და ავტობუსში, სასადილოსა და რესტორანში, დღითა და ღამით, სიცხესა და სიცივეში, დარსა და ავდარში.

## გაჭირდა ერთიანად:

მთასა და ბარში, ქალაქსა და სოფელში, კუთხესა და უბანში.

ინდიკო და ბელა, შალიკოდა ვერა, ილიკო და გენა...

## გავუძლებთ კი ყველა?

**გოგი კვირკაშვილი.**

# ძვირფასო მკითხველო!

კვლავ გაძვირდა ჩვენი გაზეთი, თუმც არც ისე, რომ მკითხველმა მის გამოწერაზე უარი თქვას, „ლეჩხუმზე“ ხელმოწერა წლით 100 მანეთი ღირს-6 თვით—50 მანეთი.

გამოწერა მიმდინარეობს რედაქციაში.

იჩქარეთ!

### გვეკითხებიან ვუპასუხებთ

# შეღავათები ომის ვეტერანებს

ცხოვრება მეტისმეტად გაძნელდა, ყველას უჭირს, მაგრამ ყველაზე დიდ გასაჭირს სოციალურად დაუცველი ფენა—ხანდაზმულები, ომის მონაწილეები განიცდიან. რედაქციაში ხშირად შემოდის შეკითხვები იმაზე, თუ რა შეღავათები ეკუთვნით ომის მონაწილეების და მათთან გათანაბრებული პირების ოჯახებს. პასუხი ვთხოვეთ რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილების გამგეს ნ. პ. ცვარიანს:

სამამულო ომის მონაწილეებს ფინანსთა სამინისტროს 1987 წლის 9 დეკემბრის № 232 დადგენილებით უფლება აქვთ ელექტროენერგიის, გაზის, წყლის, საცხოვრებელი ფართობის (მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების ფარგლებში), გათბობის საზღაური გადაიხადონ 50 პროცენტის ფასდაკლებით. თუ ისინი ცხოვრობენ სახლებში, სადაც ცენტრალური გათბობა არ არის, შეძენილი სათბობის ღირებულებას იხდიან მოსახლეობისათვის მისაყიდად დაწესებული ნორმის ფარგლებში ღირებულების 50 პროცენტის ფასდაკლებით.

რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის უკანასკნელი პერიოდის დადგენილებებს ომის ინვალიდების, ომის მონაწილეებისა და მათთან გათანაბრებული პირების შეღავათების შესახებ, ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილი არაა და როგორც კი ცნობილი გახდება, ადგილობრივი პრესის საშუალებით რაიონის მშრომელებსაც ვაცნობებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლეჩხუმო, შენი შვილია!

შეიძლება ბევრმა ლეჩხუმელმა არ იცოდეს, რომ იმ ცნობილ მწერალთა თუ საზოგადო მოღვაწეთა შორის, რომლებიც ლეჩხუმმა მისცა სამშობლოს, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჩვენი კუთხის შვილს, მწერლობაში „ლაჯანელი ბანოვანის" ფსევდონიმით ცნობილ დესპინე დავითის ასულ გელოვანს.

„ლაჯანელი ბანოვანი" 1880 წლის 6 დეკემბერს დაიბადა სოფელ ლაჯანაში. როგორც მე-19 საუკუნის ლეჩხუმ-სვანეთის ფეოდალურ წოდებაში იყო მიღებული, დესპინემაც მხოლოდ შინაური სწავლა-განათლება მიიღო. მიუხედავად ამისა მისთვის არაფერს შეუშლია ხელი მიეღწია გარკვეული წარმატებებისათვის მწერლობაში, პუბლიცისტიკაში. დესპინე გელოვანის მოღვაწეობა დაიწყო მისი წერილებით გაზეთ „ივერიაში". შემდეგ მისი მოთხრობები, ესკიზები, ეთნოგრაფიული წერილები და სხვა უამრავი

## ლაჯანელი ბანოვანი

მასალა სისტემატურად ქვეყნდებოდა სხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებშიც („ცნობის ფურცელი", „შრომა", „მეგობარი", „ამირანი" და სხვა). გამოქვეყნებული წერილები ლეჩხუმელი ხალხის ყოფა-ცხოვრების ამსახველი იყო. მათი ნაწილი ინფორმაციულ ხასიათს ატარებდა და ქართველ საზოგადოებრიობას აცნობდა იმ პრობლემებს, რომლებიც იდგა ლეჩხუმელი ახალგაზრდობის და საერთოდ ლეჩხუმის წინაშე კულტურის, განათლების თუ ეკონომიკის სფეროებში. წერილების გარკვეული ნაწილი მიმართული იყო ადგილობრივი მემამულეების და მეფის მოხელეთა წინააღმდეგ.

დესპინე გელოვანი სხვა უამრავ, ლეჩხუმისათვის სასარგებლო საქმეს აკეთებდა. კერძოდ, იგი ხელმძღვანელობდა სცენისმოყვარულთა წრეებს და უკვე 1901 წლიდან ლეჩხუმისათვის უცხო აღარ იყო სცენა და სპექტაკლი. სპექტაკლები იდგმებოდა ცაგერში, ლაილაშში, ლაჯანასა და ორბელში. მანვე დააარსა რამდენიმე ბიბლიოთეკა, გახსნილი ჰქონდა საკუთარი უფასო დაწყებითი სკოლა.

1920 წლიდან დესპინე თბილისში ცხოვრობდა და უფრო აქტიურად ეწეოდა სამწერლო მოღვაწეობას.

„ლაჯანელი ბანოვანის" კალამს ეკუთვნის ნოველები და მოთხრობები („ღების ბატონი", „ქალი" „ველარ ეგუა სული ჩემი", „ისრაელის ასულმა გაიმარჯვა" და სხვა). და ბოლოს, ალბათ მისი შემოქმედების გვირგვინად უნდა ჩაითვალოს ორი საკმაოდ ვრცელტანიანი რომანი „სამართალს სისხლით მოვძებნი" და „შორეული ლანდები". პირველი 1928 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში" და მაშინვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება. ეს არის უჩვეულო სიუჟეტიანი და საკმაოდ საინტერესო საკითხავი რომანი. მეორე—„შორეული ლანდები" არის [illegible] რომანი, [illegible] ასახავს მე—17 საუკუნის საქართველოს და კერძოდ ლეჩხუმ-სვანეთის და სამეგრელოს სინამდვილეს. რომანი დაიბეჭდა 1959 და 1960 წლებში, ხოლო მისი ბოლო გამოცემა ახლახან მიიღო ქართველმა მკითხველმა.

სამწუხაროდ, დესპინე გელოვანს ხანმოკლე სიცოცხლე ჰქონდა, იგი გარდაიცვალა 1934 წლის 6 დეკემბერს თბილისში.

„ლაჯანელი ბანოვანის" მოღვაწეობამ ნათელი კვალი დატოვა მე-20 საუკუნის ლეჩხუმის ცხოვრებაში, ხოლო მისმა სამწერლო შემოქმედებამ თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ქართულ ლიტერატურაში.

ზაზა მუშკუდიანი.

---

# ქართლის ჭირის მოზიარე

„ვისაც თავის დროში სამაგალითოდ უცხოვრია, ის ყველა დროში ცოცხლობს". გოეთეს ეს სიტყვები ზუსტად მიესადაგება დიდი ქართველი მწერლის დავით გურამიშვილის ცხოვრებას.

დავით გურამიშვილი ის შემოქმედია, რომელმაც უშუალოდ განიცადა ქართველთა ისტორიის ქარიშხლიანი დღეები, ბედმა არგუნა გამოეარა ყველა ის ჭირი და უბედობა, რაც განიცადეს მისმა თანამემამულეებმა მე-18 საუკუნეში.

დღესაც გასაჭირშია ჩვენი ერი, მძიმე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ვითარებაა. ახლა ადამიანებს ყველაზე მეტად სჭირდებათ სულიერი საზრდო. სწორედ ამ მიზნით ქალაქის ბიბლიოთეკების თანამშრომლებმა მკითხველებთან ერთად ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მოაწყვეს დავით გურამიშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო—„ქართლის ჭირის მოზარე".

ლიტერატურული საღამო შესავალი სიტყვით გახსნა კულტურის განყოფილების გამგემ ომარ ჭაბუკიანმა.

პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ისაუბრეს ხათუნა სილაგაძემ, მანანა კუხალაშვილმა, ციცინო ურთმელიძემ, მაგული ღურჭუმალიძემ, ომარ ჭაბუკიანმა. დავით გურამიშვილის ლექსები წაიკითხეს ზაზა ყურაშვილმა და ნატო სილაგაძემ. რაიონის კულტურის სახლის ვაჟთა ანსამბლმა შეასრულა მუსიკალური ნომრები.

საღამოს მონაწილეებმა გაითავისეს ის კვნესა და მიტოვება თამბისა, ის მგლოვიარე ხმები სამშობლოდან სამუდამოდ წასულებისა, რომელიც აისახა დიდი პოეტის უკვდავ ნაწარმოებებში. დავით გურამიშვილმა მშობლიური ცის ხილვას მონატრებულმა ცხოვრებას ავი ლედინაცვალი უწოდა. მისი შემოქმედება დაუბრუნდა ქართველ ერს, რომელმაც ღირსეული პატივი მიაგო ქართლის ჭირის მოზარეს. დღეს კი განსაკუთრებით მკვეთრად შევიგრძნობთ პოეტის სატკივარს, სამწუხაროდ, ჩვენს ყოველდღიურობას რომ გატოლებია.

მ. გოგიძე.

---

# ხსოვნა

## ზორბეგ ალექსანდრეს ძე თუთისანი

უცნაური სახელი მქვია— სულ ამბობდი. თვითონაც უცნაური იყავ და უცნაურ სევდას ატარებდი თვალებით.

...მაშინ ასე ადვილი არ იყო ახალგაზრდა კაცის სიკვდილი, როგორც დღეს. ან კი ვინ იფიქრებდა, შენ თუ გძლევდა იგი, მაგრამ ცრუ და მუხთალი ყოფილა ეს წუთისოფელი. შენი ქუხარი ავადმყოფობის ხმა რომ დაირხა, შეძრწუნდა ყველა, ვინც კი გიცნობდა. ათასი სანთელი აინთო მგონი შენს სახელზე. ჩაქრა ათასივე. სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილში გაატარე 9 თვე. ბოლოს მაინც უმოწყალოდ დასწია სიკვდილის პინამ. შენს ახლობლებს ყოველგვარი იმედი გადაწურული გვქონდა გადარჩენისა. შენ კი ერთი წუთითაც არ შეგეძლო სიკვდილზე ფიქრი, გადარჩენის იმედი გქონდა დიდი. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც არ გეგონა, თუ მართლა გაგწირავდა ღმერთი. ბოლოს მაინც მიხვდი, რომ ასე გაუხარებლად ტოვებდი წუთისოფელს და თქმაც რომ ვერაფრის მოასწარი, ზღვა ცრემლმა იფეთქა შენი ლამაზი, მუდამ სევდიანი თაფლისფერი თვალებიდან. ტიროდი და გადარჩენას თხოვდი ყველას—ექიმს, ექთანს, დებს... მაინც ვერ გიშველა ვერცერთმა. სიმწრის ცრემლებმა დაგისერა 9 თვის ნაავადმყოფარი და დამჭკნარი სახე... დასასაფლავებლად ვერ გიმეტებდა სოფელი, ზორბეგ...

მას შემდეგ მეცხრე შემოდგომა მოდის, დეკემბრის თვეში იუბილარი იყავი, 28—ე საფეხურზე ჩაგიტყდა ცხოვრების კიბე, თორემ 37 წლის ვაჟკაცი იქნებოდი ახლა. წახვედი და დაგვიტოვე უსაშველო სევდა და მონატრება.

შენს სახელს შენი დისშვილი, პატარა ზორბეგ ცვარიანი აგრძელებს—ისიც შენსავით უცნაურია.

...დაბადების დღეს გილოცავს ყველა შენიანი სიცოცხლეზე უსაზღვროდ გულდაწყვეტილი ზორბეგ თუთისანო!...

დედმამიშვილები, დისშვილები, ძმისშვილები.

---

## თათუშა არტიმონის ასული მიქაძე—ლეთოდიანი

სიყვარულით შექმენი ოჯახი, გიხაროდა, უყვარდა სიცოცხლეს, დედობას ნატრობდი, მაგრამ ყოველმხრივ გიმუხთლა ბედმა. დედობის სიხარული არ გაღირსა, მერე ავადმყოფობამ დაგჯაბნა ახალგაზრდობაშივე. ორივე ფეხი დაკარგე და ასე გასაცოდავებულ - დაინვალიდებულმა იცოცხლე ცოტა ხანს. შემდეგ ჯიმშერმა გიღალატა... როგორ გაუძლებდი საყვარელი მეუღლის დაკარგვას.

ბევრი გეფერეთ, გესიყვარულეთ დედმამიშვილებმა და ძმისშვილებმა, შენი მოვლა-მოფერება არც არასოდეს დაგვეზარებოდა, მაგრამ არ დაგაცალა ბედმა, გაეშურე მეუღლესთან, დაემკვიდრე სამუდამო სასუფეველში გაუხარებელი, სიცოცხლემოწყურებული ახალგაზრდა ქალი.

ძვირფასო მამიდა და ჯიმშერ ბიძია! გწამდეთ ჩვენი ოჯახისაგან, ძმისშვილებისაგან თქვენს საფლავს არასოდეს მოაკლდება არც სილამაზე და არც ალალი ცრემლი.

ძმისშვილები გაგა, ირმა, თეა.

---

# სპორტი

## ასპარეზობენ მოსწავლეები

1992-93 წლის რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული სპორტის 9 სახეობიდან შეჯიბრებები უკვე ჩატარდა სამ სახეში.

ჭადრაკში გოგონათა შორის ყველას მოუგო და პირველი ადგილი დაიკავა ლასურიაშის საშუალო სკოლის მოსწავლემ **ელისო სილაგაძემ**, მეორე ადგილზე გამოვიდა ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლე **ნათია გუგავა**. ვაჟთა შორის ყველა შეხვედრა წაუგებლად ჩაატარა და პირველი ადგილი დაიკავა ჩხუტელის საშუალო სკოლის მოსწავლემ **ბესიკ დავითულიანმა**. ერთი წაგებით მეორე ადგილზე გავიდა ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლე **ზვიად ხეცურიანი**.

შეჯიბრებამ გამოავლინა გუნდური ადგილები: პირველ ადგილზეა ცაგერის, მეორეზე ლასურიაშის, ხოლო მესამეზე— ოყურეშის საშუალო სკოლის მოჭადრაკეთა გუნდები.

გაიმართა შეჯიბრება მკლავჭიდში, გუნდის შემადგენლობაში შედიოდა 5 მონაწილე. 50 **კილოგრამამდე** წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა **რომეო თევარაძემ**, მეორე—**მერაბ ჩხეტიანმა** (ჩხუტელისა და ცაგერის საშუალო სკოლებიდან).

**60 კილოგრამამდე** წონით კატეგორიაში პირველი იყო **დათო ხაბულიანი**, მეორე—**გელა ნიჟმშველიანი** (ბარდნალისა და ჩხუტელის საშუალო სკოლებიდან).

**70 კილოგრამამდე** წონით კატეგორიაში ძლიერი მკლავი აჩვენა **თემურ კოპალიანმა**, მეორეზე გამოვიდა **ზაქრო ნემსწვერიძე** (ბარდნალისა და ლასურიაშის საშუალო სკოლებიდან).

**80 კილოგრამამდე** წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო **ალეკო მეშველიანი**, მეორეზე გამოვიდა **ვალერი გასვიანი** (ცაგერისა და ლასურიაშის საშუალო სკოლებიდან).

**80 კილოგრამს** ზევით (მძიმე წონაში) ყველას აჯობა და პირველი ადგილი მოიპოვა **გოგი ტვილდიანმა**, მეორეზეა **ზაზა ასათიანი** (ცაგერისა და ლასურიაშის საშუალო სკოლებიდან).

გამოვლინდა გამარჯვებული გუნდები. პირველ ადგილზეა ჩხუტელის, მეორეზე ცაგერის, მესამეზე—ბარდნალის საშუალო სკოლის მკლავჭიდელთა გუნდები.

ჩატარდა შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. გოგონათა შორის კარგი მომზადებული მოვიდა ბარდნალის საშუალო სკოლის მოსწავლე **სოფიკო ასათიანი**, რომელმაც ყველა შეხვედრა წაუგებლად ჩაატარა და პირველი ადგილი დაისაკუთრა. მასთან ერთი წაგებით მეორე ადგილზე გავიდა ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლე **ლია სალინაძე**, მესამეზე— ლასურიაშელი **ელისო სილაგაძე**.

ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ჩხუტელის საშუალო სკოლის მოსწავლემ **ბესიკ ლიპარტელიანმა**, მეორე— **ზვიად ხვანიძემ**, მესამე— **კობა ქომეთიანმა** (ლასურიაშის საშუალო სკოლა, პროფტექნიკური სასწავლებელი).

გამოვლინდა გამარჯვებული გუნდები: პირველი ადგილი დაიკავა ბარდნალის, მეორე— ჩხუტელის, მესამე—ლასურიაშის საშუალო სკოლებმა.

შეჯიბრებაში გამარჯვებული ინდივიდები და გუნდები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის სიგელებით და დიპლომებით.

ჯ. შკუბულიანი.

ცაგერის სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

---

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

---

# განცხადება

მშრომელთა სოციალისტური პარტიისა და საზოგადოება „სტალინის" წევრები ვალდებული არიან 21 დეკემბერს, 12 საათზე გამოცხადდნენ ქალაქ ცაგერის საკრებულოში.

მსურველთა დასწრება ნებადართულია.

საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტიის ცაგერის რაიკომი, ორგანიზაცია „სტალინი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილები თამილა, ლეილა, ია, სიძეები ბელა მურცხვალაძე, ბაჩო ყვირილიანი, იური მეგრელი, რძალი ხათუნა ლოგუანიძე, შვილიშვილები გაგა, გიგი, ნათია, თეა, თამთა, ეკა, გია, შვილთაშვილი თეონა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მილოსი ჩაჩხიანი—მახარობლიძე.**

დაკრძალვა 19 დეკემბერს, შაბათს, სოფ. გაგულეჩში.

---

ნანუშა ონიანი, ლამზირა სალინაძე, დაშა კვირკაშვილი, ლილი გურგუჩიანი, რუსიკო არჯევანიძე, ნინელი მუშკუდიანი, ნანული ჭაგუკიანი, ლალი გენდელიანი, ირინე მამალაძე, ნუნიკო, მარინე კოპალიანები, ნუკრი ქვილითაია, მედიკო მურცხვალაძე, ნორა მეშველიანი, ნინო კალანდაძე, ზაირა სილაგაძე, ნონა სვანიძე თანაუგრძნობენ თამარ ასათიანს დის

**საშა ასათიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ნატო, შვილები თორნიკე, თამრიკო, დედმამიშვილები მურთაზი, გუგული, ნარგიზა, ნელი, ფაცო, ციცო, მარინა, მამიდა მარო, რძალი ნატაშა, სიძეები დათიკო ფორჩხიძე, ნუგზარ სანოძე, ავთო ტყეშელაშვილი, გია რამიშვილი, მამუკა მიქაძე, დისშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, სიდედრი გულნარა, სიმამრი გრიშა, ცოლისძმები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ტარიელ სერგოს ძე ჭიჭინაძე**

დაკრძალვა კვირას, 20 დეკემბერს, სოფ. ჩხუტელში.

---

შვილები ვაჟა, ანზორი, გულვერი, ვენერა, ნელი, თალიკო, ნანა, გულნაზი, სიძეები კოლია, კაკო, აბრამი, ქიშვარდი, რძლები ელეონორა, დარეჯანი, იზო, შვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოლღა იაკობის ასული ბუგავა-კვირკაშვილი**

დაკრძალვა 19 დეკემბერს, შაბათს, სოფ. ჩხუტელში.

---

ძმა ჭიჭიკო, დები შურა, ნორა, რძალი მერი, ძმისშვილები, დისშვილები, სიძეები, ძმისშვილიშვილები, დისშვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გოგუცა ანთიმოზის ასული აგაშიძე.**

---

ძმისშვილები დარეჯან, ნესტან, თინათინ, სიძეები გრიშა ხმელიძე, რამაზ ახვლედიანი, ილო ბერიძე იუწყებიან მამიდის

**გოგუცა ანთიმოზის ასული აგაშიძის**

გარდაცვალებას.

---

ტიტიკო კოპალიანი, მიშა ყურაშვილი, გურამ ჩარკვიანი, გიძინა, შალვა სალინაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ნუნუ გაგუხადიას სიძის

**ლევან ნოზაძის**

გარდაცვალების გამო.

---

კუჭიკო, მიშა მახარობლიძეები თანაუგრძნობენ ოჯახს

**გრიშა ლაკვეხელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ამირან ჩახულიანი, ნანი ჩარკვიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ გულო, კაკო ჩარკვიანებს, ელეონორა, ანზორ კვირკაშვილებს დედისა და სიდედრის

**ოლღას**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე შალვა (შურა), შვილი ჯამბული, რძლები მზია თოთაძე, თინა ხელაია, დალი ახვლედიანი, მაგული ტყაბლაძე, ციალა ასათიანი, შვილიშვილები ნატო, კობა, დედამთილი ანეტა, მული ეთერი, დები ლილი, ნაზი, ძმები სემინარი, გრიშა, რუბენი, გიგი, სიძეები ჟუჟუ გაგილონია, ანზორ მახარობლიძე, გივი ასათიანი, მძახალი ნორა თოთაძე, ძმისშვილები, დისშვილები, მულისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვერა თედორეს ასული კვენეტაძე-თვარაძე**

დაკრძალვა 20 დეკემბერს, კვირას, ქ. ქუთაისში, 15 საათზე. გამოსვენება წყალტუბოს 1 შეს. № 2.

---

საირმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს გულნარა ალავიძის ოჯახს დედის

**ანეტა ალავიძის**

გარდაცვალების გამო.

---

მეთევზეობის ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლეილა მახარობლიძეს დედის

**მილოსი მახარობლიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ამუკა სალინაძე, ზაურ კოპალიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**საშა გაბრატის ასული ასათიანი.**

---

იზო, ბელა, ბორის გოლეთიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ გულო, კაკო ჩარკვიანებს დედისა და სიდედრის

**ოლღა კვირკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ამუკა სალინაძე, ზაურ კოპალიანი თანაუგრძნობენ ციალა დიდიმი გურჯალიანებს დედისა და სიდედრის

**პატა მეშველიანი-კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლასურიაშის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ნუზია მუშკუდიანს ბიძის

**შალვა მუშკუდიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლასურიაშის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ლარა ხმელიძეს მამის

**იულო ხმელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ზურაბ ჩაკვეტაძე, ზურაბ დანელია, სპარტაკ გვასალია თანაუგრძნობენ ოჯახს

**სონა ხვადაგიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ანი, ბადრი სალინაძეები ოჯახით თანაუგრძნობენ ბიზო გოლეთიანის ოჯახს

**ციალა გოლეთიანის**

გარდაცვალების გამო.

---

არქიტექტურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვენერა გოლეთიანს რძლის

**ციალას**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის სოცუზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მალედი სალინაძეს და დემურ უგრეხელიძეს დედამთილისა და დედის

**საშა ასათიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე იაკობი, და სონა, შვილები ზინა, საშა, ნელი, ნოდარი, რძალი ნივრა ლურჯუმალიძე, სიძეები გერონტი ცხვედიანი, ვაჟა გასვიანი, ბიკენტი არჩვაძე, მული სონა ჯიაძე, მაზლი დომენტი ჯიაძე, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ძმისშვილები, მულისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აგრაფინე ლეონტის ასული ჩხეტიანი-ჯიაძე**

დაკრძალვა 20 დეკემბერს, კვირას, სოფ. მახაშში.

---

და თამარი, შვილი დემური, რძალი მალედი, შვილიშვილები გოჩა, თემური, დათო უგრეხელიძეები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**საშა ბეგლარის ასული ასათიანი—უგრეხელიძე**

დაკრძალვა 19 დეკემბერს, შაბათს, სოფ. ჩხუტელში.

---

გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქცია და რაიონული სტამბის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზაირა არდანიანს მამიდაშვილის

**ბაჩვა ჭილვარიას**

გარდაცვალების გამო.

---

ჯემალ ცვარიანი ოჯახით თანაუგრძნობს ბიზო გოლეთიანს მეუღლის

**ციალა გოლეთიანის**

გარდაცვალების გამო.

---

სიდედრი გულნარა, სიმამრი გრიშა, ცოლისძმები პაატა, ბობიტა გზობავები, რძალი რიტა იუწყებიან

**ტარიელ ჭიჭინაძის**

გარდაცვალებას.

---

ავშირგაბმულობის საწარმოო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ია ასათიანს დედამთილის

**გალინე კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ქალიშვილები მარო, ილიოდორე, დაში, ნოდარ მურცხვალაძეები, გურამ ბერიძე, მიშა უგრეხელიძე, მიშა გაკურაძე, არჩილ სიგაშვილი იუწყებიან

**საშა ბეგლარის ასული ასათიანის**

გარდაცვალებას.

---

ხვიჩა სალინაძე, მირანდა ხაჩულიანი, მზია ლეთოდიანი, ნინო კოპალიანი, ინგა გენდელიანი თანაუგრძნობენ ელისო გოლეთიანს დედის

**ციალას**

გარდაცვალების გამო.

---

ავშირგაბმულობის საწარმოო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულიკო ჩარკვიანს დედის

**ოლღა კვირკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის სამხედრო განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ დარეჯან, გრიშა ხმელიძეებს მამიდის

**გოგუცა აგაშიძის**

გარდაცვალების გამო.

---

შერაბი, ჯონი, ჯიმშერ, არტურ ყვირილიანები, მუხრან, თემურ მურცხვალაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ლეილა, კარლო ყვირილიანებს დედისა და სიდედრის

**მილოსის**

გარდაცვალების გამო.

---

## გილოცავთ

**ნინო კოპალიანს, თემურ ახვლედიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული, სიხარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

**სოფო, ბაჩვა, დათუნა მუშკუდიანები.**

**ნელი, შოთა აკობიძეებს**

გილოცავთ შვილის, ზაზას ბედნიერებას.

**ვაჟა ყურაშვილი ოჯახით.**

**ნინო კოპალიანს, თემურ ახვლედიანს**

გილოცავთ ბედნიერებას.

**ნინო, ნუგზარ, გიორგი სილაგაძეები.**

**ეთერ კილასონიას, გელა უჩაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.

**ნათლული ნანა ქომეთიანი.**

**მზია გიზოს ასულ ნემსწყერიძეს**

გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ბედნიერებას.

**მაკა ნემსწყერიძე.**

**ჯულიეტა მუშკუდიანს, მურმან გოგბაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარულიან, ნათელ მომავალს გისურვებთ.

**თამრიკო ქარსელაძე.**

**მაია ხაბულიანს, ირაკლი ჯოლოღავას**

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იმრავლეთ.

**ლაშა გურჯალიანი ოჯახით.**

**მაია ხაბულიანს, ირაკლი ჯოლოღავას**

გილოცავთ ამ სიხარულს, ბედნიერებას. ბედნიერება და სიყვარული იყოს თქვენი მეგზური აწ და მარადის.

**თქვენი ნანი მამიდა.**

**ინეზა, ავთო კოპალიანებს**

გილოცავთ შვილის შეძენას. გაგეზარდოთ სასახელო ვაჟკაცი.

**რუბენ დავითულიანი, ნუგზარ მამარდაშვილი ოჯახებით.**

**ნანა შკუბულიანს, თამრიკო კოპალიანს**

გილოცავთ დისშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცები.

**რაისაავადმყოფოს თერაპიული განყოფილების თანამშრომლები.**

**მაია, გაკო შკუბულიანებს**

**ელეონორა, ანზორ კვირკაშვილებს**

გილოცავთ პატარა სალომეს შეძენას.

**სოფო, გოჩა სვანიძეები, ვახტანგ ომანაძე.**

**ნანი ხაბულიანს**

გილოცავთ ძმისშვილის მაიას ბედნიერებას.

**ლალი, გენადი კვირკაშვილები.**

---

სოფელ ჩხუტელის ახალგაზრდობა იუწყება

**ტარიელ ჭიჭინაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ზურაბ ჩაკვეტაძე, ზურაბ დანელია, სპარტაკ გვასალია თანაუგრძნობენ ოჯახს

**ციალა გოლეთიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლეილა სადილიანი, თამაზ ლიპარტელიანი თანაუგრძნობენ ბიზო გოლეთიანის ოჯახს

**ციალას**

გარდაცვალების გამო.

---

შალვა, ნოდარ ცვარიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ სარა, ჯუმბერ ცვარიანებს დეიდის

**აგრაფინე დავითულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის მე-6 ა კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი ციცო კოპალიანი თანაუგრძნობენ ირინა კოპალიანს ბებიის

**გალინე კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ლენა, შვილები ნატო, ნინო, გია, ფატიმა, დები ნორა, ნაირა, ძმა კარლო, რძალი გულნაზი, სიძეები ნუგზარი, კახა, ბორისი, ჯუმბერი, ბორისი, მამიდა სონა, ბიძა ჯოკია, შვილიშვილები, ძმისშვილები, დისშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ცოლისდები, ქვისლები იუწყებიან

**გივი სამსონის ძე სალინაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 22 დეკემბერს, სამშაბათს, სოფ. ლასურიაშში.

---

დედა დომნა, მამა გრიშა, მეუღლე მანანა, შვილები ანიკო, თათია, სიდედრი ჟუჟუნა კოპალიანი, სიმამრი ოთარ ყურაშვილი, ცოლისძმა მერაბი, დეიდები ჟუჟუნა, ზინა არდანიანები, ბიცოლა საშა, სიძეები ვალოდია ალავიძე, სოსო ახვლედიანი, ნოდარ კაპანაძე, გერონტი კალანდაძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბაჩვა გრიშას ძე ჭილვარია**

დაკრძალვა 24 დეკემბერს, ხუთშაბათს ქ. ცაგერში.